Становление жанра романа в грузинской прозе XIX века – процесс сложный и неоднозначный. Исследование его типологии в общем контексте европейской литературы позволяет не только выявить национальную специфику развития жанра, но и общие закономерности культурной ориентации той эпохи. Особый интерес в этом смысле вызывают произведения, созданные на раннем этапе становления реалистической художественности. В них наиболее наглядно прослеживается общая направленность поисков и экспериментов грузинских писателей.

В докладе приводятся основные результаты синхронного и диахронного анализа художественной структуры романа Лаврентия Ардазиани «Соломон Исакич Меджгануашвили». Особое внимание уделяется вопросам преемственности и новаторства.

Выделенные нами элементы переходной жанровой структуры и специфики нарратива наглядно свидетельствуют о том, что наиболее значимой тенденцией процесса становления реалистического романа является трансформация повествовательных традиций средневековой грузинской литературы с учетом достижений художественного опыта западноевропейской литературы, в частности, повествовательной структуры просветительского романа, прозаических традиций раннего реализма и специфики буржуазного романа.

**IRINA MODEBADZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **A Novel in the Quest for Realistic Art: Typology of Genre Transformations**

The formation and establishment of the novel genre in the Georgian prose of the 19<sup>th</sup> century is considered to be a challenging process. Studying its typology in the common context of European literature enables us not only to reveal national specificity of the development of the genre but the common cultural orientations of that epoch. Emphasis is made on works being created at the early stages of the establishment of realism where the common inclination towards the quests and experiments of Georgian authors are witnesses.

The report presents the results of synchronic and diachronic analysis of the artistic structure of Lavrenti Ardaziani's novel "Solomon Isakich Mejganushvili". The great importance is attached to the issues of continuity and innovation.

The elements of genre structure and the specificity of narrative that we have singled out prove that the most significant tendency of process of formation of the realistic novel is transformation of narrative traditions of the medieval Georgian literature taking into account achievements of art experience of the West European literature, in particular, narrative structure of the novel of enlightenment, prosaic traditions of early realism and specificity of the bourgeois novel.

## ირინა ნაცვლიშვილი

*საქართველო, თბილისი*

*მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **საისტორიო წარატივი, ლიტერატურული ტრადიცია და მხატვრული წარმოსახვა აკაკი წერეთლის „ნათელაში“**

ქართული მწერლობა ყოველთვის ამჟღავნებდა ინტერესს კლასიკური წარსულის მიმართ, მაგრამ საისტორიო წარატივს განსაკუთრებული აქტუალობა და ღირებულება შესძინა XIX საუკუნის მხატვრულმა აზროვნებამ. თუკი ახალი კოლონიური ყოფის პირობებში სინამდვილის მიუღებლობის ფონზე საუკუნის დასაწყისის პოეტებისათვის ესთეტიზებული წარსული იყო ის იდეალი, რომელიც განაპირობებდა მისკენ რომანტიკულ, რეალურად კი მიუღწევად სწრაფვას, 60-იანელთა მსოფლმხედველობრივი პრინციპის კვალობაზე — „ანმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“, — ისტორია, თავისი ნათელი სახეებითა და სახელებით, გაიაზრებოდა, როგორც ერის სულიერი საზრდო ღირსეული ანმყოსა და მომავლის ფორმირების გზაზე. სწორედ ამ მიზანს ემსახურება აკაკი წერეთლის პოემა „ნათელა“.

პოემის ფაბულა, გარკვეულწილად, იმ საისტორიო წარატივს ეფუძნება, რომელიც ცნობილია „ქართლის ცხოვრების“ უამთაღმწერლისეული მატთანით, თუმცა იმპლიციტურად შინაარსობრივი თუ მხატვრული დეტალებით. ცოტნე დადიანის საარაკო გმირობა ჩარმადან მონღოლთა ნოინის კარზე „ასწლოვან მატთანეში“ ორიოდ გვერდსაც არ მოიცავს, მაგრამ კომპოზიციურად შეკრული ნოველის სახე აქვს და მონოდებულია სახარებისეული სახისმეტყველების ფონზე: „წარვიდა ანისად დამდეები სულისა თვისისა და აღმსარებელი მცნებისა უფლისასა, რომელი იტყვის: უფროს ამისსა სიყუარული არა არს, რათა დადვას კაცმან სული თვისი მოყუსისა თვისისათვის“. ბიბლიური პარადიგმა, რომელიც ისტორიკოსს თხრობაში შემოაქვს, არის ერთგვარი ინდექსი პერსონაჟის ხასიათისა და მოვლენის არსის გასახსნელად, რისთვისაც ავტორი დამატებით მსჯელობასაც ავითარებს, თავის მხრივ აფასებს გმირსაც და სიტუაციასაც. ამდენად, „ასწლოვან მატთანეში“ აღნიშნული ეპიზოდის სახით საქმე გვაქვს ისტორიისა და დისკურსის ერთობლიობასთან, ანუ ე. წ. დისკურსიულ წარატივთან.

აკაკი წერეთლის პოემაში, მართალია, შეინიშნება სიტუაციური თუ ფრაზეოლოგიური თანხვედრანი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტთან, მაგრამ პოეტი მხატვრული წარმოსახვის საშუალებით აფართოებს ფაბულასაც და სიუჟეტსაც და, საისტორიო წარატივისაგან განსხვავებით, აქცენტი გადააქვს ნათელას სახეზე (ამას ცხადყოფს პოემის სათაურიც), რომელიც არსებითად მისი მხატვრული ფანტაზიის ნაყოფია. ამით საისტორიო წარატივს აკაკი გარდაქმნის ახალი ტიპისა

და შინაარსის ნარატივად (ტერმინის თანამედროვე ინტერპრეტაციით), რომელშიც ყურადღება უმთავრესად გამონაგონზეა კონცენტრირებული.

მიუხედავად იმისა, რომ „ნათელაში“ მოვლენათა წარმმართველი სწორედ მხატვრული წარმოსახვაა, პოემა ეფუძნება „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს არა მხოლოდ ცოტენ დადიანის ქმედების, არამედ ზოგადად მონღოლთდროინდელი რეალობის აღწერისასაც. ამასთანავე, ის საკმაოდ დავალებულია ლიტერატურული ტრადიციითაც. გარდა იმისა, რომ პოემაში აშკარაა რუსთველური ფრაზეოლოგია და ლექსიკა (მაგ.: „მზის სხივების ველარ მჭვრეტი, გახმა ია, დაჭკნა ვარდი!“), თავად ნათელას მხატვრული სახეც შთაგონებული უნდა იყოს „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი ქალებით, განსაკუთრებით კი — ნესტან-დარეჯანით.

**IRINA NATSVLISHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Historical Narrative, Literary Tradition and Artistic Imagery in Akaki Tsereteli’s Poem “Natela”**

Georgian literature always displayed an interest in relation to classic past but artistic thinking of the 19<sup>th</sup> century added special topicality and value to the historical narrative. If in conditions of a new colonial state against the background of unacceptable reality the ideal which evoked romantic but in reality unattainable aspiration was the aestheticized past for the poets at the turn of the century, in the light of the world outlook principle of the man /woman of the sixties – “the present originated from the past is the parent of the future”, - the history with its bright figures and names, was perceived as nation’s spiritual food on the road of shaping dignified present and future. This is the purpose that Akaki Tsereteli’s poem *Natela* serves.

The plot of the poem is based on that historical narrative which is known from the chronicle “The Life of Kartli”, though it is amplified with contextual or artistic details. Tsotne Dadiani’s heroic deed done at the Noin court of Charmaghan Mongols contains less than two pages in the “Centenary Chronicle” but has a form of compositionally bound novel and it is narrated against the background tropological interpretation of the Gospel: Tsotne arrived at Anis and voluntarily joined his compatriots-in-arm who had been captured by Mongols in order to share their fate, in fulfillment of the law of Christ announcing that the highest level of love is “to sacrifice oneself for thy neighbor”.

Biblical paradigm which is introduced into the narration by a chronicler is a certain index for explanation of personage’s character and essence of the event for which the author develops additional discussion, makes his own appraisal of a hero and situation. Thus, in the form of the episode reported in the Centenary Chronicle we deal with the unity of the history and discourse or the so-called documentary narrative.

## აღა ნემსაძე

*საქართველო, თბილისი*

*მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### ნაციონალური იდენტობის პრობლემა ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობებში

იდენტობა სუბიექტური რეალობის საკვანძო ელემენტს წარმოადგენს. ესაა ადამიანის მიერ საკუთარ თავთან იგივეობის დადგენა რაღაც ტიპოლოგიური კატეგორიით. განასხვავებენ სოციალურ, კულტურულ, ეთნიკურ, ჯგუფურ იდენტობებს. ინდივიდი ზოგჯერ საერთოდ ვერ ახერხებს საკუთარი იდენტობის დადგენას, რასაც „იდენტიფიკაციის კრიზისი“ ეწოდება. ქართული (არა მარტო) სინამდვილის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ ყველა სახეობას შორის უმთავრესი მაინც ნაციონალური იდენტობაა (დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში — ეთნიკური), რაც ხშირად იდენტიფიკაციის სხვა სახეების (კულტურულის, ისტორიულის, ფსიქოსოციალურის) გარკვეულ საფუძვლად გვევლინება.

ყოველი დიდი ერი საკუთარი ისტორიის მანძილზე ხდება რაღაც დიადი იდეის მატარებელი, რომელიც ასულიერებს მის ყოფიერებას. ქართული სახელმწიფოსთვის ასეთი იყო ეროვნული თავისუფლების იდეა, რომელიც გახდა ეროვნული იდენტობის მოპოვებისა და შენარჩუნების აუცილებელი პირობა. შენიშნულია, რომ ინდივიდში ის იდენტობა იწყებს აღმატებას სხვებზე, რომელიც განიცდის დევნას. ამ მოსაზრების გათვალისწინებით, ნათელი გახდება, რატომ არის ჩვენთვის ეროვნული იდენტობის კრიზისის დაძლევა მუდმივი პრობლემა. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობების გამოცდილებით თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ ნაციონალური იდენტობის პრობლემის არსებობაზე XIX საუკუნის ქართულ რეალობაში. საკვლევი მასალის საფუძველზე იკვეთება ორი შემთხვევა: უკვე მოპოვებული იდენტობის რღვევა და დაბრკოლების შექმნა იქ, სადაც იდენტიფიკაცია ჯერ კიდევ არ განხორციელებულა.

იდენტიფიკაციის პრობლემასთან პირდაპირი კავშირი აქვს დროისა და სივრცის პრობლემებს. ეთნოსი ყალიბდება ისტორიული პროცესის ობიექტურ სვლაში. ხასიათის ეროვნული თავისებურებანი იგივე ისტორიული მეხსიერებაა, ის, რაც ეთნოსმა ჩათვალა მნიშვნელოვნად და შეინახა კოლექტიურ ცნობიერებაში („გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ“). ეს ყველაფერი ერთად ქმნის იდენტურ სივრცეს (აქ მოვიაზრებთ არა მარტო გეოგრაფიულ არეალს, არამედ ადათ-წესებს, რიტუალებს, ფასეულობებს და პიროვნების ღირსების განმსაზღვრელ ფაქტორებს). ალექსანდრე ყაზბეგის გმირებს მხოლოდ იდენტურ სივრცეში შეუძლიათ იგრძნონ საკუთარი პიროვნული არსი, წარმოაჩინონ ღირსებები, იღვანონ ერის საკეთილდღეოდ.

ნებისმიერი პრობლემის გაჩენა ყოველთვის და ყველგან პირდაპირი შედეგია კოსმოსის რღვევისა. კოსმოსი (მოცემულ შემთხვევაში საქართველოს მთიანეთი, სადაც წესრიგი და სამართლიანობა უზრუნველყოფილი იყო მთის მყარი კანონებით) გადადის ქაოსში, რასაც რუსული ძალის შემოჭრა განაპირობებს. საჭიროა ამ ქაოსის კვლავ კოსმოსად ქცევა, რაც ეროვნული იდენტობის მოპოვებით უნდა მოხერხდეს. ასეთია ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობების უმთავრესი აზრი.

**ADA NEMSADZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **The Problem of National Identity in Alexander Kazbegi's Stories**

Identity is the main issue of the subjective reality, establishment of a person's identity by some typological category. There are social, cultural, ethnic and group identities. An individual sometimes fails to establish identity at all and it is called "the identification crisis". Giving consideration to the Georgian (and not only Georgian) reality, we think that the national (in the western scientific literature – ethnic) identity is essential among all types, which often appears the basis for other types of identification.

Every big nation becomes the bearer of some great idea during its history, which gives spiritual sense to its existence. For the Georgian state such was the idea of national freedom, which has become the indispensable condition to obtain and maintain the national identity. It has been noted that the identity, experiencing pursuit, starts to develop in an individual. Giving consideration to such opinion, it becomes clear why averting the national identity crisis is a permanent problem for us. According to Alexander Kazbegi's stories we can freely talk about the existence of the national identity problem in Georgian reality of the 19<sup>th</sup> century. On the basis of studying material, two cases can be highlighted: disarrangement of already gained identity and creation of hindrance where identification has not been implemented yet.

Time and space problems are directly connected with the identification problem. Ethnos is formed in the objective course of historical process. National feature of character is the same as the historical memory, which the ethnos considered important and maintained in the collective consciousness ("Remember where you come from!"). All these make an identical space (geographic range, customs, rituals, values...). Characters of Alexander Kazbegi can feel their personal essence and express their merits only within the identical space.

Emerging of any problem is the direct result of outer space disruption. Outer space (mountains of Georgia, where order and fairness was ensured by strong mountain laws) is leading to chaos, which is conditioned by invasion of the Russian forces. Such chaos shall turn into the outer space again, which is possible to obtain by gaining the national identity. This is the main idea of Alexander Kazbegi's stories.

## მანია ნინიძე

*საქართველო, თბილისი*

*მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **თვითმკვლევლობა, როგორც სიუჟეტური მეტაფორა**

აკაკი წერეთლის „გამზრდელს“ რეალურად მომხდარი ფაქტი დაედო საფუძვლად, მაგრამ ამ ამბავს მწერლის ყურადღება იმით არ მიუქცევია, რომ სარკესავით ასახავდა ცხოვრებას, პირიქით, შემთხვევა სავსებით არაორდინალური იყო. როდესაც რეალისტურ ნაწარმოებში საზოგადოების ყოფა წარმოგვიდგება ყოვლად უჩვეულო, გამონაკლისი მაგალითით, სავსებით მოსალოდნელია, რომ საქმე გვეკონდეს სიუჟეტურ მეტაფორასთან.

ჩვენი აზრით ამ ნაწარმოებში ერთმანეთს ერწყმის ფაქტობრივი და მეტაფორული კომპოზიციური პასაჟები, რომელთა ხატვის სტილი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. მოვლენათა თავდაპირველი განვითარება და კვანძის შეკვრა უკავშირდება რეალურ სიუჟეტს. მასში მონაწილე პერსონაჟები ცოცხლად და მრავალმხრივად არიან წარმოდგენილნი, მაგრამ ჰაჯი-უსუბი, რომელიც გვიან შემოდის პოემაში და რომელსაც უკავშირდება კვანძის გახსნა, სქემატური სახეა — სახე იდეა და არა სახე ხასიათი. ჩვენი აზრით იგი განასახიერებს „აღზრდის წესრიგს“, „აღზრდის ლოგიკას“, რომლის მიხედვითაც ღირსეული ღირსეულს აღზრდის და „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი“. საფარ-ბეგმა ეს ლოგიკა დაარღვია, ეს იდეა დაამსხვრია.

ჰაჯი-უსუბი რომ ჩვეულებრივი პერსონაჟი იყოს, მწერალი მის განცდებს თვითმკვლევლობის ნინ ვრცლად წარმოგვიდგენდა. ეს ისეთი ფატალური ნაბიჯია, რომ ავტორს ყველაზე ნოყიერი ნიადაგი ექნებოდა მისი ფსიქოლოგიური ანალიზისთვის, მაგრამ გამზრდელის ქმედებას თან არ ახლავს მისი განცდების ამსახველი არცერთი სიტყვა. ეს გვაფიქრებინებს, რომ ჰაჯი-უსუბი და მისი საქციელი განსხვავებული, მეტაფორული ნარატივია. იგი დამხმარე საშუალებაა, რომელიც უკავშირდება რეალურ პრობლემას და რეალისტურ პერსონაჟს – საფარ-ბეგს. თვითმკვლევლობა, მეტაფორულად აქ შესაძ-



ლოა სულის, იდეის სიკვდილს განასახიერებდეს, რაც ბევრად უფრო ტრაგიკულია, ვიდრე ხორციელი სიკვდილი.

აღზრდის კანონზომიერების მეორე პარადოქსულ შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს სანინალმდეგო მოვლენა – როცა უფარგისი აღმზრდელების მიუხედავად აღსაზრდელები ახერხებენ ღირსეულ ადამიანებად ჩამოყალიბებას. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ აკაკის თაობა და მათი გიმნაზიის აღმზრდელები, რომლებსაც ეძღვნება ეს პოემა. ამრიგად, მწერლის მხატვრული გზავნილი თავისი პედაგოგებისადმი აგებულია კონტრასტულ შემთხვევაზე, რისი მეშვეობითაც ხდება ემფაზის გაძლიერება.

## **MAIA NINIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rusatveli Institute of Georgian Literature*

### **Suicide as a Plot Metaphor**

Akaki Tsereteli's poem "Gamzrdeli" (the Upbringer) is based on a real fact. The plot couldn't attract the author's attention as a reflection of real life. On the contrary, the case was quite extraordinary. When in realistic fiction people's life is represented by means of exceptional, unusual happenings, quite often it is not an ordinary plot, but a plot metaphor.

We consider that the poem plot is a mixture of factual and metaphoric passages which differ greatly in the stylistic means of expression. The beginning of the story and tying of the plot knot are connected with the realistic, ordinary plot. Characters involved in it are described very lively and in different ways but Haji Iusub who enters the poem at the end and who unties the knot, is a schematic image and not an ordinary character. In my opinion, he represents "educational order", "educational logics", according to which a worthy teacher has worthy pupils and "the teacher who brings up a worthless person, should be whipped". Sapar-beg with his low action destroyed this logic and annihilated the idea.

If Haji Iusub were an ordinary character, the author would describe his feelings before suicide widely. Suicide is such a fatal step that gives the author the most fruitful ground for psychological analysis. But the decision of Haji Iusub is accompanied with no word describing his feelings. This makes us think that his suicide is quite a different, metaphoric narrative. It is a subsidiary means connected with a real problem and realistic character – Sapar-beg. Suicide might be a metaphor, representing the death of a sole or death of an idea, connected with Haji Iusub and it is even more tragic than biological death.

Another paradox, connected with educational logics is the contradictory case – when, despite bad teachers, pupils manage to become worthy citizens.

The best example of it is the case with Akaki Tsereteli himself and his gymnasium schoolmates, who had terrible teachers and awful educational system but became great public figures. Dedication of the poem to the author's teachers carries an important message. It tells them that if a teacher who did everything to make Sapar-beg an honorable person, blamed and punished himself because of his sins, the teachers who don't do all they can, should be blamed and punished even more. The author's message to his teachers is constructed on a contrast case and this makes the emphasis stronger.

**К.Р. НУРГАЛИ**

*Казахстан, Астана*

*ЕНУ им. Л.Н. Гумилева*

### **Об истоках русско-казахских литературных связей**

У каждой нации есть свои особенности, вместе с тем все народы черпают лучшее друг у друга, и их культурное богатство становится общим достоянием. В процессе этого взаимообогащения большую роль играет художественное изображение другого народа.

Ануар Алимжанов писал, что народы всегда искали и ищут то, что объединяет их с другими народами, а не то, что разделяло бы их и вело к розни. Одним словом нет конца стремлениям человека и народа ко все более возвышенному идеалу.

Русская литература, оказывая влияние на развитие национальных литератур, сама обогащалась новыми темами, идеями и изобразительными средствами. В освоении казахской темы русские писатели шли в первых рядах.

Тема связи казахской литературы начала XX века с общемировым литературным процессом в казахском литературоведении представлена работами М. Ауэзова, С. Талжанова, Ш. К. Сатпаевой, К. Канафиевой-Кереевой, У. Кумисбаева, и других исследователей.

Обращаясь к русской литературе, казахская литература исходила из своих социально-исторических и эстетических задач. Вместе с тем внимание к инациональным литературам содействовало дальнейшей эволюции самого русского литературного процесса.

Истоки русско-казахских отношений уходят в глубь веков, о чем свидетельствуют древние памятники русской письменности.

Все лучшее в дореволюционном творчестве русских авторов [Д. Л. Иванов, М. Пришвин, Г. Успенский и др.] характеризуется стремлением войти в жизнь казахского народа, понять его душу. До понятия «самоиден-

тификация» русскими авторами с кочевником был период узнавания, удивления, впервые посетившим степь. Первые путешественники прониклись глубоким уважением к кочевнику, узнав его поближе. И это было не книжное изучение «предмета», основой и почвой казахстанских страниц этих авторов явились прямая и личная причастность писателей к казахской жизни.

## **KADISHA NURGALI**

*Kazakhstan, Astana*

*L.N. Gumilyov Eurasian National University*

### **On the Origins of Kazakh-Russian Literary Relations**

Every nation has its peculiar characteristics. At the same time all the nations borrow the best from each other, and their cultural wealth becomes a common heritage. During this mutual enrichment a great role is given to the imagery description of another people.

Anuar Alimzhanov once wrote that peoples have always sought the one thing that unites them with other peoples but not the one that separates them from each other and makes them different. To put it in short, there is no end for the aspiration of man and people to a more exalted ideal.

While producing its influence upon the development of national literatures, Russian literature has been enriching itself with new themes, ideas and figurative means. Russian writers were the first in developing Kazakh themes. The theme of the relation of Kazakh literature of the beginning of the 20<sup>th</sup> century to the worldwide literary process in Kazakh literary criticism is presented in works of M. Auezov, S. Talzhanov, Sh.K. Satpayeva, K. Kanafiyeva-Kereyeva, U. Kumisbayev and many other researchers.

Turning to Russian literature, Kazakh literature has been led by its social-historical and aesthetic purposes. Along with it the attention to foreign national literatures contributed to the further evolution of the Russian literary process itself.

The origins of Russian-Kazakh relations go back into the depth of ages which is justified by ancient monuments of Russian writing.

The best thing in pre-revolutionary artistic work of Russian authors [D.L. Ivanov, M. Prishvin, G. Uspenskiy, etc.] is characterized by the aspiration to enter the life of Kazakh people and understand their sole. Before the notion “self-identification” appeared, there was a period of recognition, astonishment of Russian authors who got to know Kazakh nomads and found themselves in Kazakh steppes for the first time. The first travelers were imbued with a profound respect for Kazakh nomads as they knew them better and closer. And it was not a bookish study of “a subject”, as the basis and ground of Kazakhstan pages of these authors has become the direct and personal involvement of writers in Kazakh life.

**SELCUK PEKER**

*Turkey, Konya*

*University of Selcuk in Konya*

## **The Georgian and Georgia in Ashik Poetry**

The early examples of Ashik (Wandering minstrels of Turkish Folk Poetry) Literature in Anatolia can be traced back to the 14<sup>th</sup> century. In ages, numerous poems told by hundreds of ashiks have made a tremendous achieve. Ashiks usually poetized on love and the beloved and sometimes on the important events of the period they lived in.

Turks and Georgians are the two friend nations who have always lived in peace throughout the history. In spite of this friendship, traces about Georgia and the Georgians in the Turkish Ashik Poetry are far from meeting the expectations. The Georgian motives detected in this study were generally on love and the beloved. Some Georgian motives were also encountered in some poems written on the Otoman-Russian war.

In the present study, the leading representatives of ashik poetry and poems written by those poets who lived in cities nearby Georgia were examined. The motives on Georgia and the Georgian that were detected in the Turkish Saz (a Turkish folk musical instrument) Poetry, on which various interpretations and considerations were also made, were tried to be determined.

### **სელჩუკ პეკერი**

*თურქეთი, კონია*

*სელჩუკის უნივერსიტეტი კონიაში*

### **ქართველები და საქართველო აშულურ პოეზიაში**

ანატოლიაში აშულური პოეზიის (აშულები — თურქული ხალხური პოეზიის მოხეტიალე შემსრულებლები) პირველი ნიმუშები მე-14 საუკუნეში ჩნდება. საუკუნეების განმავლობაში ასობით აშულის მიერ მოთხრობილი პოემებმა უზარმაზარი არქივი შეადგინა. აშულები ძირითადად თხზავდნენ პოემებს სიყვარულზე და ზოგჯერ იმ მნიშვნელოვან მოვლენებზეც, რომლებიც მათ ეპოქაში ხდებოდა.

თურქები და ქართველები ორი მოძმე ერია, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე მშვიდობიანად თანაარსებობდნენ. ამ მეგობრობის მიუხედავად, თურქულ აშულურ პოეზიაში საქართველოსა და ქართველების შესახებ ძალზე ბუნდოვანი ცნობები არსებობს. ქართული მოტივები, რომლებიც კვლევის დროს აღმოჩნდა, ძირითადად, მიჯნურობასა და მიჯნურს ეხება. ზოგიერთ პოემაში, რომლებიც დაწერილია

ოსმალეთისა და რუსეთის ომზე, ასევე, ვხვდებით სხვა ქართულ მოტივებსაც.

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია აშუღური პოეზიის ცნობილი ნაშრომადგენლები და ის პოემები, რომლებიც შექმნილია საქართველოს ახლომდებარე ქალაქებში მცხოვრები თურქების მიერ. თურქულ საზურ პოეზიაში (საზანდარი — თურქული ხალხური მუსიკალური საკრავი) შესწავლილი იქნა ქართული მოტივები, რომლებმაც საუკუნეების განმავლობაში მრავალი ინტერპრეტაცია განიცადა.

**ALESSANDRA PIATTI**

*Italy, Settimo Milanese*

**“A Great Realist”:  
Nikoloz Baratashvili Re-Read and  
Re-Written by Boris Pasternak**

The whole literary production of Nikoloz Baratashvili was translated by Russian author Boris Pasternak in 1945, when in Tbilisi they were celebrating the 100<sup>th</sup> death anniversary of the Georgian poet.

In the *Note* to his translation, Boris Pasternak defined Nikoloz Baratashvili as “a great realist”, although the Georgian poet belongs to the romantic generation. Of course, this was not related to the well known Soviet attitude to look for realistic elements in classical authors as to “justify” them: on the contrary, Pasternak’s definition is due to an intimate conception of artistic realism formulated by the Russian poet.

This paper will show which elements of Baratashvili’s poetics can be related to artistic realism as Pasternak conceived it. It will be pointed out how the realistic elements in the work of the Georgian romantic author were much closer to the principles of classical realism than was the aesthetic canon of socialist realism.

The paper will focus on the poetical images, principles and devices which Pasternak introduced into his original work after his translations from the Georgian author, discussing how Baratashvili’s ideas about such wide and fundamental topics as the mankind and the role of the artist crossed the border between two centuries and two countries, finding an echo also in modern Russian literature.

## ალესანდრა პიატი

*იტალია, სეტიმო მილანეზე*

### **ბორის პასტერნაკის მიერ გადაკითხული და გადანერილი „უდიდესი რეალისტი“ - ნიკოლოზ ბარათაშვილი**

1945 წელს რუსმა ავტორმა ბორის პასტერნაკმა თარგმნა ნიკოლოზ ბარათაშვილის მთელი შემოქმედება. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში აღინიშნებოდა პოეტის გარდაცვალებიდან 100 წლისთავი.

თარგმანზე დართულ შენიშვნებში პასტერნაკი ნიკოლოზ ბარათაშვილს მოიხსენიებს როგორც დიდ რეალისტს, თუმცა სინამდვილეში პოეტი რომანტიკოსთა პლეადას განეკუთვნება. რა თქმა უნდა, ეს არ იყო გამოწვეული ერთგულებით კარგად ნაცნობი საბჭოური პრინციპებისადმი, რომლებიც კლასიკური ავტორების „გასამართლებლად“ ყველგან და ყველაფერში რეალისტური ელემენტების მოძიებას გულისხმობდა. ამის საპირისპიროდ, პასტერნაკმა ჩამოაყალიბა მხატვრული რეალიზმის თავისებური კონცეფცია.

აღნიშნულ სტატიაში ნარმოდგენილია ბარათაშვილის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ის ელემენტები, რომლებიც ნიშანდობლივია პასტერნაკისეული მხატვრული რეალიზმისათვის. აღნიშნული სტატია გვიჩვენებს, რომ ქართველი რომანტიკოსი პოეტის რეალისტური ელემენტები უფრო ახლოს დგას კლასიკური რეალიზმის პრინციპებთან, ვიდრე სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკური ნაშრომები.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია პოეტურ სახეებზე, პრინციპებსა და ხერხებზე, რომლებიც პასტერნაკმა ბარათაშვილის შემოქმედების თარგმნისას შემოიტანა; გვიჩვენა, თუ როგორ გადაიკვეთება ბარათაშვილის შემოქმედებაში ორი საუკუნე და ორი ქვეყნის კულტურა, შეხედულებანი კაცობრიობისა და ხელოვანის როლის შესახებ, რომლებმაც მოგვიანებით გამოძახილი ჰპოვა თანამედროვე რუსულ პოეზიაში.

**М. Е. ЖАПАНОВА**

*Казахстан, Астана*

*Евразийский национальный университет им. Л.Н. Гумилева*

## **«Текст детства» в творчестве Н. Думбадзе и А. Приставкина**

Детство представляет собой начало человека, его потенциал будущности, возможности ее воплощения.

Ни одна тема не входит в литературу случайно и обособленно. Она меняет ее, перестраивает жанры и стили. Через трагическую лирику утраченного детства, изображенную романтиками, писатели приходят к идиллическому повествованию о милom, незабвенном детстве, что находит свое отражение в литературе XIX века.

Литературе XX века (советского периода) ближе не эстетическое умиление перед детством, а отцовское, многострадальное отношение, выражающееся в сопереживании болям детства, его обидам. Детство уже не является объектом любования, оно участвует в жизни взрослых.

В предлагаемом докладе осуществлен опыт рассмотрения образа ребенка военного периода на материале художественных текстов грузинского и русского писателей Н.В. Думбадзе «Я вижу солнце» и А.И. Приставкина «Ночевала тучка золотая», что обусловлено спецификой того общего культурного пространства, в котором реализовался образ детства. Немаловажным фактом является и художественная ценность произведений, вклад писателей в развитие литературы о детях. Еще одной отличительной особенностью является автобиографичность произведений. Судьба героев обоих произведений во многом совпадает с судьбой авторов. Образ детства в произведениях «Я вижу солнце» и «Ночевала тучка золотая» имеет ряд общих черт:

- воплощение мысли о красоте, гармонии и единстве (братстве) мира;
- актуализация ценностных центров художественного мира: дом – родина;
- доминанта воспоминаний, повторяющиеся мотивы сна, солнца и неба;
- использование фольклорных элементов.

В данных произведениях, детство, как целостное понятие, отличается, во-первых, связью с социально-политической проблематикой, с проблемой национального характера, во-вторых, связью с вопросами воспитания, взаимоотношения мира взрослых и детей. Среди доминирующих тем, мотивов и образов, обуславливающих характер изображения картины мира ребенка можно выделить:

1. Темы: войны и сиротства (беспризорничества)
2. Мотивы: голод, страха, ожидания, веры

3. Образы: небесные – солнце, небо; пищи – хлеба, фруктов, христианские – Дева Мария (Н.Думбадзе); ковчег (А.Приставкин); Библия (А.Приставкин); рай – (Н.Думбадзе, А.Приставкин), а также дороги (Н.Думбадзе, А.Приставкин), двойничества (Н.Думбадзе, А.Приставкин) и пустыни (А.Приставкин).

**MARZHAN ZHAPANOVA**

*Kazakhstan, Astana*

*L.N. Gumilyov Eurasian National University*

### **“The Childhood Text” in N. Dumbadze’s and A. Pristavkina’s Creative Works**

The childhood represents the beginning of a person, his potential of future, possibility of its embodiment.

Any theme is not included into the literature casually and separately. It changes it, reconstructs genres and styles. Through the tragical lyrics of the lost childhood represented by romanticists, writers come to an idyllic narration about the lovely, unforgettable childhood that finds the reflexion in the 19<sup>th</sup>-century literature.

The 19<sup>th</sup>-century literature (the Soviet period) is closer not to the aesthetic affection of the childhood, but the fatherly, distressful relation expressed in empathy to pains of the childhood, to its insults. The childhood is not any more the object of an admiration, it participates in a life of adults.

In offered article was realised the experience of consideration of an image of the child of the military period on a material of the texts of the Georgian and Russian writers N.V. Dumbadze “I See the Sun” and A.I. Pristavkina “The Gold Cloud Overnights” which was caused by specificity of that general cultural space in which the image of the childhood was realised. The important fact is also the art value of products, the contribution of writers to development of the children’s literature. One more distinctive feature is autobiography of products. The destiny of heroes of both works in many respects coincides with destiny of authors. An image of the childhood in the works “I See the Sun” and “The Gold Cloud Overnights” has a number of common features:

- n embodiment of thoughts about beauty, harmony and unity (brotherhood) of the world;
- actualisation of the valuable centres of the art world: the house – the native land;
- a dominance of the memoirs, repeating motives of dream, the sun and the sky;
- use of folklore elements.



In the given works, the childhood as the complete concept, differs, firstly by communication with a sociopolitical problematics, problems of national character, secondly, communication with questions of education, mutual relation of the world of adults and children. Among dominating themes, motives and the images causing character of the image of a picture of the world of the child it is possible to allocate:

1. Themes: war and orphanhood
2. Motives: hunger, fear, expectation, belief
3. Images: heavenly – the sun, the sky; food – bread, fruit, Christian – Maiden Maria (N. Dumbadze); (A. Pristavkin's) ark; (A. Pristavkin's) Bible; paradise – (N. Dumbadze, A. Pristavkin), and also roads (N. Dumbadze, A. Pristavkin), counterpart (N. Dumbadze, A. Pristavkin) and (A. Pristavkin's) deserts.

## **ირმა რატიანი**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **„კავკასიისა“ და „კავკასიელის“ ლიტერატურული რეფლექსიები მე-19 საუკუნის ქართულ რეალისტურ მწერლობაში**

მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში თვალნათლივ აღინიშნება „კავკასიისა“ და „კავკასიელის“ ცნებების გააქტიურება. ცნებათა მსგავსი აქტუალიზება გამოწვეულია საქართველოს ისტორიული გადანაცვლებით ახალი კოლონიალიზმის ეპოქაში, რომელსაც სხვაგვარად „რუსული კოლონიალიზმის ეპოქა“ შეიძლება ეწოდოს.

რუსული კოლონიალიზმის პოლიტიკური სტრატეგია იმთავითვე განისაზღვრა საქართველოსა და მთლიანად კავკასიის ოკუპირებული რეგიონების გათიშვისა და დაშლის პრინციპით, ხოლო სოციალურმა სტრუქტურამ რუსეთის იმპერიის სოციალური სისტემის მიკრომოდელის სახე მიიღო. როგორი იყო ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ახალი კოლონიალიზმის სტანდარტთან?

საქართველოსათვის, მისი ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, უცხო არ იყო „დაპყრობილის“ სტატუსი: სხვადასხვა დროს საქართველო ოკუპირებული იყო ირანის, არაბეთის, თურქეთის, მონღოლეთის მიერ. ქართული საზოგადოების რეაქციაც კოლონიალიზმზე, ტრადიციულად, სარწმუნოების შენარჩუნების ნიშნით იყო აღბეჭდილი — დამპყრობლები არასოდეს იყვნენ ქრისტიანები და ანტიკოლონისტური მოძრაობა, უპირველეს ყოვლისა, რელიგიური ღირე-

ბულებების დაცვას გულისხმობდა. რუსული კოლონიალიზმის ეპოქაში რადიკალურად შეიცვალა დამპყრობლის სტატუსი, დამპყრობელი რუსეთი „ერთმორწმუნე“ მტერ-მოყვარის ნიღბით მოქმედებდა: ერთი მხრივ, სარგებლობდა მართლმადიდებლური ქვეყანის პრივილეგიით, მეორე მხრივ მხრივ კი, აპირისპირებდა საქართველოს კავკასიის მთიანეთის არაქრისტიან ხალხებთან და აცლიდა ყოველგვარ პოლიტიკურ თვითმყოფადობას. ქართული საზოგადოების თავდაპირველი რეაქციაც რუსულ კოლონიალიზმზე ორმაგი სტანდარტით წარიმართა, რაც ნათლად აისახა რომანტიზმის ეპოქის ქართულ მწერლობაში, პირველ ყოვლისა, სწორედ „კაკვასიისა“ და „კაკვასიელის“ ცნებების ინტერპრეტაციის თვალსაზრისით.

მე-19 საუკუნის 40-50-იანი წლებიდან უფრო ცხადად გამოიკვეთა ახალი კოლონისტების პოლიტიკური კურსისა და სოციალური სტრატეგიის ჭეშმარიტი მიზანი: საქართველოს გარდაქმნა სოციალ-პოლიტიკური და კულტურული მოვლენების პერიფერიულ ზონად, რაც შეესაბამებოდა „კოლონიის“ ცნების კლასიკურ ინტერპრეტაციას. შესაბამისად, სახე იცვლიან ქართული საზოგადოების რეაქციამაც რუსულ კოლონიალიზმზე და ამბივალენტური სტატუსი რადიკალურმა დაპირისპირებამ შეცვალა: ანტიკოლონიური მოძრაობის ისტორიულად გამომუშავებული სარწმუნოებრივი სტრატეგია ეროვნულობის პრევენციის სტრატეგიამ ჩაანაცვლა. მე-19 საუკუნის რეალისტური მწერლობა სწორედ ეროვნული იდენტობის დაცვის ნიშნითაა აღბეჭდილი და ეს განწყობილება საფუძვლად უდევს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალ. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას და სხვა რეალისტი მწერლების მხატვრულ შემოქმედებას.

პრობლემამ კიდევ უფრო რთული და საინტერესო ხასიათი შეიძინა მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობაში, როდესაც ისტორიულმა და პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა თავად დამოკიდებულება პრობლემისადმი რამდენიმე ეტაპად დაყო: რევოლუციურ და პოსტ-რევოლუციურ, იდეოლოგიური დიქტატის, ომის, ლიბერალიზაციისა და პოსტ-ლიბერალიზაციის ეტაპებად. ლიტერატურამ შეძლო მიმდინარე პროცესების სრული ინტელექტუალური ინტერპრეტაცია.

**IRMA RATIANI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

**Literary Reflections of “The Caucasus”  
and “Caucasian” in the 19th-Century Georgian  
Realistic Literature**

The livening up of the concepts of “the Caucasus” and “Caucasian” is witnessed in the 19<sup>th</sup>-century Georgian literature and public thinking. Historical shift of Georgia into the new epoch of colonialism, which can alternatively be called “The Epoch of Russian Colonialism”, caused the accentuation of the above mentioned concepts.

From the very beginning, the strategy of Russian colonial policy envisaged the division of the occupied regions of Georgia and the whole Caucasus; moreover, the social structure acquired the image of the micro-model of Russian social system. What was the attitude of Georgian society towards the new standards of colonialism?

Owing to its historical past, Georgia was quite familiar with the status of “conquered”: In different epochs, Georgia had been occupied by Iran, Arabia, Turkey and Mongolia. The reaction of Georgian society towards colonization, traditionally, was an attempt to maintain their own religion – the conquerors have never been Christians and anti-colonial movement always entailed in itself the defense of religious values. The status of the conqueror has altered drastically during the epoch of Russian colonialism; Russia has tried the mask of a friend-foe with whom Georgians shared religion: on the one hand, Russia used the privilege of the orthodox country; on the other hand, confronted Georgians with non-Christian people of the Caucasus and deprived it from political independence. The reaction of Georgians towards Russian colonialism was characterized by double standards, which was clearly reflected on Georgian literature of the period of romanticism, first of all, in relation to the interpretation of the concepts “the Caucasus” and “Caucasian”.

The genuine goal of the colonial policy and their social strategies were pointed out clearly in the 1840-50s: Georgia was transformed into the peripheral zone of social-political and cultural events, which corresponded to the classical interpretation of the concept of “colony”. Correspondingly, the Georgians’ respond to colonialism has also been modified and the previous ambivalent status was replaced by the radical confrontation: Religious strategy worked out by anti-colonial movement was replaced by the strategy of prevention of national identity. The 19<sup>th</sup>-century realistic literature is noticeable for its defense of national identity and it forms basis for the creativity of Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Al. Kazbegi, Vazha-Pshavela and other realist writers.

The problem became more complicated and interesting in 20<sup>th</sup> –century Georgian literature, when the historical and political events itself has divided the relation towards the problem into different stages: stages of revolution and post-revolution, ideological dictate, war, liberalization and post-liberalization. Literature managed the intellectual interpretation of the ongoing processes.

**О. Е. РОМАНОВСКАЯ**

*Россия, Астрахань*

*Астраханский государственный университет*

### **Повествовательные формы русской литературы XIX века в прозе постмодернизма**

Одно из актуальных направлений современного литературоведения – изучение традиций реализма в литературе других художественных систем – обуславливает необходимость решения проблемы использования писателями-постмодернистами классических форм нарратива. Сложившиеся в реализме типы и формы повествования были востребованы модернистской, а позднее постмодернистской прозой, они эволюционировали, а в некоторых случаях претерпели значительную трансформацию.

Объектами структурного цитирования в постмодернизме становятся такие традиционные для реалистической поэтики формы нарратива, как многоголосое повествование и сказ.

Полисубъектная модель повествования основана на принципе взаимодействия голосов автора и героя. В прозе А. Пушкина, Н. Гоголя, Ф. Достоевского, а позднее А. Чехова и И. Бунина, «слово» героя, передающее особенности его «мышления и говорения», становится значимым элементом речевой структуры текста. В постмодернизме принцип многоголосия сохраняется, но акцент смещается в сторону обыгрывания чужих текстов. Полицитатность прозы Вен. Ерофеева, Е. Попова, Саши Соколова генетически восходит к полисубъектной модели реалистического повествования, построенного как сложное соотношение речевых сфер автора и героя.

Поэтика сказа как особой формы нарратива, исторически сложившейся в реалистической литературе XIX века, трансформируется в произведениях В. Ерофеева, Саши Соколова, Т. Толстой. Происходящие изменения вызваны конвергенцией сказа с орнаментальной прозой: подчеркнута нелитературная речь рассказчика приобретает черты «изошренного косноязычия», основанного на игре со словом, в том числе заимствованным.

В рамках игры происходит стилизация классических нарративных форм. В текстах В.Сорокина, В.Ерофеева, И.Яркевича, В.Шарова повествовательный код реализма снижает смысловая абсурдность, спонтанная и контрастная смена стиля, гротескное искажение и пародирование нормативно-нейтрального повествования.

Ведущей тенденцией в отношениях между постмодернистской прозой и реалистическими формами нарратива является балансирование постмодернизма на грани между пародическим использованием этих форм и их пародированием.

## **OLGA ROMANOVSKAYA**

*Russia, Astrakhan*

*Astrakhan State University*

### **The Narrative Forms of the Russian Literature of the 19<sup>th</sup> Century in the Postmodernism Prose**

One of the topical trends of modern literary criticism is the studies of realistic traditions in the literature of other artistic systems. It determines the necessity to consider the issue of employment of classical forms of narration by post-modernists. Forms and types of narration developed by realism were widely used in modernism, and then in postmodernism. They evolved and even transformed in some cases.

Such traditional for realistic poetics forms of narration as vociferous narration and stylized narration has become the objects of structural citation in post-modernism.

Polysubjective model of narration is based on the principles of interaction of the voices of the author and the character. The personal narration of a character conveying the peculiarities of his "way of thinking and speaking" has become a significant element of speech structure of the text in the prose by A. Pushkin, H. Gogol and F. Dostoevsky, and later by A. Chekhov and I. Bunin. In postmodernism the principle of polyphony is preserved but the emphasis is shifted to the playing upon the texts by other authors. Polycitation of prose by Ven. Erofeev, E. Popov, Sasha Sokolov is genetically connected with to polysubjective model of realistic narration, designed as a complex correlation of speech spheres of author and character.

Poetics of the stylized narration as a separate form of narration, historically developed in the Russian realistic literature of 19<sup>th</sup> century, is transformed in the works by Ven. Erofeev, Sasha Sokolov, T. Tolstaya. The changes are caused by convergence of stylized narration and ornamental prose - the speech of the narrator gains the features of "elaborate tongue-tie", based on the play with a word, including borrowed words.

In the framework of play the stylization of classical narration forms takes place. Sense irrationality of the text, spontaneous and sudden change of style, grotesque distortion and caricature of normatively neutral narration decrease the code of realism in the texts by V. Sorokin, Ven. Erofeev, I. Yarkevich, V. Sharov.

The main tendency of correlation of postmodernism prose and realistic forms of narration is the balancing of postmodernism the edge of caricature usage of these forms and their caricature.

## **OMER SOLAK**

*Turkey, Konya*

*University of Selchuks in Konya*

### **Georgians in Second Meshrutiyet (period of Ottoman constitutional monarchy) Novels and the Novel of *Define***

In this study, "Georgian" image in the novel of *Define* (Treasure) was published in Second Meshrutiyet (Constitutional Monarchy) and were examined in a variety of headings. When Constitutional Monarchies' novels are examined, it can be seen that there are few Georgians. Hence, in the context of the novel which has one of the principal persons as a Georgian concubine, we tried to explain how of the Turkish community's consideration to, one of the most important Caucasian people, Georgians. How Georgians were described in novel of *Define* and which roles have been played? These questions are the focus of the study to establish the work with it. In this study it was examined that author Mehmet Hamdi's consideration, as an intellectual, to the Georgian identity and to how they played ethnic roles in that time. At the same time, the historical background and the relation of the author with the ideologies of the period were also considered.

## ომერ სოლაკი

თურქეთი, კონია

სელჩუკების უნივერსიტეტი კონიაში

### ქართველები მეორე მემრუთიეთულ რომანებში (თურქეთის კონსტიტუციური მონარქიის პერიოდის რომანებში) და განსაზღვრულის რომანი

აღნიშნული ნაშრომი ეძღვნება „ქართველის“ მხატვრული სახის გამოვლენას ე.წ. *განსაზღვრულის* რომანში, რომელიც მეორე მემრუთის (კონსტიტუციური მონარქია) პერიოდში გამოქვეყნდა და შესწავლილი იქნა სხვადასხვა გამოცემაში. რომანის მეშვეობით, რომელშიც ერთ-ერთი მთავარი გმირია ქართველი ხასა, შევეცადეთ აგვეხსნა თურქი ხალხის დამოკიდებულება კავკასიელი ხალხების, კერძოდ, ქართველების მიმართ. საინტერესოა, რა როლი განეკუთვნებოდათ ქართველებს ე.წ. *განსაზღვრულის* რომანში? აღნიშნული საკითხი ნაშრომის კვლევის მთავარი ობიექტია. მოხსენებაში შესწავლილია მაჰმედ ჰამედის, როგორც ინტელექტუალის მოსაზრება ქართული იდენტობის შესახებ და ის, თუ როგორ ასრულებდნენ ისინი თავიანთ ეთნიკურ როლს იმ პერიოდში. ამავდროულად, გათვალისწინებულია ისტორიული ფონი და ავტორის დამოკიდებულება იმ პერიოდის იდეოლოგიისადმი.

## სოლომონ ტაბუცაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

წყვილმა „გმირი და სატრფო“ სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით მწერლის მიზანდასახულების და ჟანრობრივი სპეციფიკის ცვლასთან ერთად განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო. ა. სასულიერო მწერლობაში გმირი უფლისთვის თავშენიშნულია, ხოლო სატრფოდ მოიაზრება მხოლოდ უფალი (სიძე). ბ. საერო ლიტერატურაში, ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე ტრადიციულ გააზრებას შეემართა ახალი დატვირთვა, სადაც მსგავსად ხალხური ზეპირსიტყვიერებისა, ანტიკური და აღმოსავლური ლიტერატურული ტრადიციებისა გმირი უკვე მიჯნურის სათნო-საყოფად იღვწის. გ. შემდეგ ეტაპზე, დიდაქტიკურ-აღმზრდელით თხზულებებში როგორც გმირის, ისე სატრფოს სემანტიკას ახალი დატვირთვით ვხვდებით: გმირია ადამიანი, რომელიც ზნესრულობას ეძებს (მაგ.: ლეონი ან ჯუმბერი. გურამიშვილთან კი მას განზოგადებული ზნეობრივი სახე აქვს). დ. ახალ ეტაპზე გადადის გმირისა და სატრფოს სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელი XIX საუკუნეში. რომანტიკოსებს შემოაქვთ სატრფო-სამშობლოს სიმბოლური სახე, რომელიც ე. რეალისტებმა გმირის პოლისემანტიკური შინაარსი გაამდიდრეს.

მიზანსა და დამოკიდებულებასთან ერთად იცვლება თვით ტერმინოლოგია, რომელიც აღნიშნავს, სახელდება, გამოხატავს გმირს: აგიოგრაფი მას „ახოვან, ღვანლისმძლე მოღვაწეს“ უწოდებს, შუასაუკუნეთა ქართული მწერლობა—უკვე გმირს: „მათ სამთა გმირთა მნათობთა...“ ან „ლომო და გმირო ტარიელ...“ და ა. შ. ტერმინოლოგიური ცვლა არ არის ძველი შინაარსის ახალი ლექსიკით ასახვა. ტერმინოლოგია ამ შემთხვევაშიც ის ინდიკატორია, რომელიც ლაკონიურად ასახავს სტრუქტურულ-სემანტიკურ ცვლას. შევეცადეთ, გაგვერკვია, რა სახის ტრანსფორმაცია განიცადა წყვილმა „გმირი-სატრ-

რფო“ სასულიერო მწერლობიდან (კერძოდ, აგიოგრაფიიდან) რეალიზ-  
მამდე (რით ჰგავს ეს წყვილი აგიოგრაფიულ მოდეულს და რას დაესესხა  
მას).

**EKA CHIKVAIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **For Structural-Semantic Transformation of “Hero and Beloved” from Religious Writings (Hagiography) to Realism**

G. Imedashvili notes that “an elaborately designed national ideal of a martyr hero is the heritage of Hagiography to secular literature” (Imedashvili 1964: 148). The lives of troubled figures had been depicted at various times in the writings of various genre and purpose. A literary hero underwent significant transformation over time. Along with it changed the hero’s role in a work as well as a writer’s stance, attitude towards a hero. It is evident that this aspect is also an important indication as to what an author wants to convey through a hero.

A couple “Hero and Beloved” underwent several stages of structural and semantic evolution, along with that of an author’s objective and genre specificity. a. In religious writings a hero is sacrificed to the Lord, and only Lord is regarded as beloved. b. In secular literature at the first stage of formation new meaning was added to traditional understanding; here, similar to orally transmitted folklore a hero of antique and eastern literary traditions toils towards pleasing a beloved one. c. During the following stage, in didactic-educational works we see a new semantic meaning of a hero, as well as beloved one: a hero is a person who strives for moral integrity (For example: Leon or Jumber. And it has a generalized moral face in Guramishvili’s works). d. A structural-semantic model of a hero and a beloved one shifts to a new dimension in the 19<sup>th</sup> century. Romantics introduce a symbolic face of a beloved-motherland, where e. Realists enriched polysemantic meaning of a hero.

With the change of goal and attitude terminology changes as well, which signifies, names, depicts a hero: a hagiographer refers to him as a “well-built, troubled figure”, in Georgian literature of medieval period it is already referred to as a hero: “They, three comely heroes...” or “lion and hero, Tariel...”, etc. The change of terms is not the description of old meaning using new words. Terminology in this case as well is an indicator which laconically reflects structural-semantic change. We attempted ascertain what transformation couple “hero-beloved” underwent from religious literature (namely, hagiography) to realism (how is this couple look like hagiographic model and what it borrowed thereof).

## ნათელა ჩიტაური

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### აკაკი წერეთლის შემოქმედების რამდენიმე მხატვრული სახე თანამედროვეობის კონტექსტში

აკაკი წერეთლის შემოქმედება, როგორც არაერთხელ აღნიშნულა, ხატოვანი აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშია, თუმცა აკაკისთვის ყოველთვის უცხო იყო „წმიდა ლირიკის“ განყენებული სახეები, უშინა-არსო რიტორიკული ფიგურები და მათით ტკბობა. პოეტმა მხატვრულ სახეებს და ხატებს მიანიჭა არა მხოლოდ ემოციის ფუნქცია, არამედ დატვირთა დიდი შინაარსით. სწორედ ამგვარი მხატვრული სისტემით შესძლო მან ეპოქის ასახვა, მკითხველის არა მხოლოდ დატკბობა, არამედ მისი დაფიქრება, ზნეობრივ-გონებრივი ამაღლება. აკაკის მუდმივ ხატთა სისტემა ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ მისი ნაწარმოებები არ იზღუდება დროსივრცული არეალით, ეროვნულიცაა და ზოგადსაკაცობრიოც.

აკაკის შემოქმედების მუდმივ ხატთა სისტემაში გამოიკვეთა რამდენიმე სახე, რომელთა შინაარსმაც, ვფიქრობთ, მეტი დატვირთვა შეიძინა სწორედ სადღეისო პრობლემების ფონზე.

1. „წარსული ნერგები“ და „ეროვნების ხე“. აკაკის ბევრი თხზულება ისტორიულია, მაგრამ ძველის სიყვარულმა შემოქმედში არ დაჩრდილა ანმეოსა და მომავლისათვის საჭირო სიახლის ძიების სურვილი. მან ისტორიულ თხზულებებში წარმოგვიდგინა ის „წარსული ნერგები“, რომლებზეც უნდა „შეხორცდეს ახალი ნამყენი“, რათა „ეროვნების ხე“ არ შესუსტდეს. ვფიქრობთ, დღევანდელი გადასახედიდან საინტერესოა ამ „წარსული ნერგების“ შინაარსი და რაობა.

2. „სიტყვითი ლოცვა“ და „საქმითი ლოცვა“.

ქვეყანას რომ შრომა, ქმედება და აქტიურობა სჭირდება, ილიამ ლოგიკურად დაასაბუთა თავისი შეოქმედებითა და მოღვაწეობით, მაგრამ, ვფიქრობთ, აკაკი უფრო ღრმად, რელიგიური კუთხით შეეხო ამ საკითხს. აღნიშნული მხატვრული სახეების შინაარსი და რაობა თეოლოგიური ასპექტით განმარტა.

3. „სანთელი“, „წვა“, „ნათება“.

აკაკის შემოქმედებიდან ჩანს, რომ ეს სახეები ბევრის დამტევია, მოიცავს ადამიანის სულის უღრმეს ფენებს. პოეტი თავისი ნაწარმოებებით ნათელყოფს, რომ სწორად ცხოვრების, ოპტიმიზმის საფუძველი ადამიანის სულის „შინაგანი წვა“ და „ნათებაა“. „შინაგანი წვის“ არარსებობა იწვევს არა მხოლოდ გარეგნულ უმოქმედობას, საზოგადო საქმის ღალატს, უზნეობას, სიძულვილს, არაჯანსაღ ურთიერთობებს, ურწმუნობას, არამედ პიროვნების გამოფიტვას, დეპრესიას, მელანქოლიას, ნიჰილიზმს. ვფიქრობთ, ყოველივე ამის გამო აღნიშნული მხატვრული სახეების აკაკისეული განმარტება და გააზრება სწორედ დღევანდელი კონტექსტშია საინტერესო.

**NATELA CHITOURI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Some of Akaki Tsereteli's Artistic Images within the Contemporary Context**

Akaki Tsereteli attributed not only function of emotion to the artistic faces, but loaded it with great significance.

We discuss the following artistic faces:

1. "Past saplings and tree of nation."
2. "Prayers with words and prayers with action."
3. "Candle, burn, shine"

With the mentioned faces Akaki connected past, present and future to each other, he stated the importance and necessity of action with theological aspect; he told us why a man may become a nihilist.

Because of all, writings of Akaki are not only national, but common to all mankind and that's why it endures the time.

### **ეპა ჩხეიძე**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **გველის სახე-სიმბოლოს ცალკეული ასპექტები**

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ქართულ მწერლობაში გარკვეულ ინტერპრეტაციას განიცდის „მითოლოგიური გველი“. ამ პერიოდის ქართული ლიტერატურა მითისქმნადობის ორიგინალურ ვარიაციებს გვთავაზობს.

ვაჟა-ფშაველას შემთხვევაში „გველისმჭამელი“ ითხოვს გველთან ნილნაყარი პიროვნების (მინდიას) სრულიად ახლებურ სახეცვლილებას. გველის სიბრძნე მისი ენის წვერიდან გადადის ადამიანზე, ან მისი ხორცის ჭამით (ისე, როგორ არის ეს ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელში“, კონსანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდიასა“ და გრიგოლ რობაქიძის დრამაში „ლამარა“).

ნიმანდობლივია ამ მხრივ ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ დასასრული, სადაც გველი — „ადამიანის ტომის მტერი“ — სწეულ ლუხუმს ფეხზე დააყენებს, რადგან „ბოროტების გზა გაუშვავ, კეთილი დაუჭერია.“ თუ ამას ისე გავიაზრებთ, რომ გველი ღვთაებრივი ძალის

გამოვლინებაა, აუცილებლად დავუკავშირებთ მას საქართველოს მთიანეთში გავრცელებულ გადმოცემას „ხეს ამოყოლილ გველზე.“

გადმოცემაში კერიაში ამოსული იფნის ხე ისევე, როგორც მასზე შემორკალული გველი, საკრალულად ითვლებოდა. გველს პატივს სცემდნენ როგორც სახლში, ისევე ხატში. ყორეში თუ თვალს მოჰკრავდნენ, გველს არ გაალიზიანებდნენ, არ მოკლავდნენ, რადგან ის ოჯახის ფუძის მფარველად მიიჩნეოდა. თუ ვინმე მოკლავდა, მაშინ ოჯახს დიდი უბედურება დაატყდებოდა თავს (ვილაც მოუკვდებოდა).

გველი განძის მცველია, სამალავებშია მოკალათებული და აშინებს მპარავს. ზოგჯერ თავად განძი თავის დასაცავად გველის სახეს იღებს (ხახმატის ჯვარი, გახუა მეგრელაური).

გველი — ცბიერებისა და სიბრძნის განსახიერება — ვერაგი და სიტყვის გამტეხი ადამიანის მიმართ შურისმაძიებელი და ბოროტია, კეთილისათვის — კეთილისმყოფელი და სიკეთის მზღველი.

## EKA CHKHEIDZE

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### Some Aspects of Symbolic Image of the Serpent

At the turn of the 19<sup>th</sup> and 20<sup>th</sup> centuries “mythological serpent” undergoes a certain interpretation in Georgian writing. Georgian literature of that period offers original variations of myth making.

In case of Vazha-Pshavela’s poem “The Snake-Eater” a complete change, rebirth of a personality (Mindia) shared with a snake is required. The snake’s wisdom passes to man from the tip of its tongue or by eating its meat (as it is in Vazha-Pshavela’s *The Snake-Eater*, Konstantine Gamsakhurdia’s *Khogais Mindia* and Grigol Robakidze’s play *Lamara*).

From this viewpoint of particular interest is Vazha-Pshavela’s poem *Bakhrioni* in which a snake, symbolizing “the enemy of the entire human race”, brings Lukhumi back to health by releasing the evil (If we consider that the snake is a manifestation of the divine power then we will bound it with the narration “On the snake around the tree” popular in Georgia’s highlands).

In the narration the ash-tree germinated in the hearth as well as a snake curving around it is considered to be sacral. The snake was venerated both at home and at the shrine. At a glimpse of a snake on the road, one should not annoy it, or even kill because it was believed to be a protector of the hearth and home. If anybody slew it, the family could face deep trouble (e.g. death of family member).

Serpents are guardians of treasures, usually settle in a secret place and frighten thieves. Sometimes the treasury itself takes the appearance of the snake for self protection (*Xaxmatis-Jvari, Gaxua Megrelauri*).

A serpent, symbolizing deceit and wisdom, in relation to perfidious man and betrayer is wicked and revengeful but with respect to a good-natured person it is kind and renders good.

## რუსუდან ცანავა

*საქართველო, თბილისი*

*მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### მითი, მხატვრული მეტაფორა და რეალისტური კონცეპტი (ნიკო ლორთქიფანიძის „ქედუხრელნი“)

მოხსენებაში წარმოვადგენ, როგორ გარდაიქმნა თვითშენიშვნის უნივერსალური მითი მხატვრულ მეტაფორად და რა ფუნქციას ასრულებს ეს მეტაფორა ნ. ლორთქიფანიძის მოთხრობაში „ქედუხრელნი“. შეიძლება ითქვას, თვითშენიშვნა მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი პოპულარული თემაა. მაგალითისთვის: ევრიპიდეის ჩვიდმეტი ტრაგედიიდან შვიდი თვითშენიშვნის მითორიტუალური მოდელს ეფუძნება. თვითშენიშვნის უნივერსალური მითი ხშირად ამა თუ იმ კონკრეტულ პიროვნებას მიესადაგება და ლეგენდის სახეს იღებს. მხატვრულ ლიტერატურაში ამგვარი ამბები რომანტიკულ-ჰეროიკულ განწყობებს წარმოშობს. ამის თვალსაჩინო ნიმუშია ხისა და ფოთლების ცნობილი მეტაფორა აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკში“ და რეალურ პიროვნებათა ლეგენდად ქცეული სახეები.

ნ. ლორთქიფანიძის „ქედუხრელში“ ერთმანეთს ერწყმის რომანტიკულ-ჰეროიკული და რეალისტური ტენდენციები, კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა და ყავლგასული ტრადიციების ახლებურად გადააზრება. მოთხრობაში ივანე მეზლაპრე ყვება ორ ამბავს, რომლებიც არც ზღაპრებია, არც ლეგენდები, არც მითები, თუმცა ჩამოთვლილთაგან ყველას ელემენტს შეიცავენ. ორივე თვითშენიშვნას ასახავს; ერთს პირობითად, „დედის გული“ დავარქვათ, მეორეს — „ციხეში ჩაყოლებული ვაჟის ამბავი“.

ტექსტის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ: მოთხრობაში თვითშენიშვნის მეტაფორა ზნეობრივ ჭრილშია ახსნილი: თვითშენიშვნის იდეით შთაგონებული ადამიანი ძლიერი პიროვნებაა, რომელსაც შეუძლია ერთი სულისკვეთებით შეკრას ხალხი. შენიშნული არის ლიდერი. მას ან თავად მიჰყავს დაწყებული საქმე ბოლომდე, ან იღუპება და უფრო ძლიერ სიმბოლოდ — მითად გადაიქცევა. ამგვარი



მითები და რეალური სახელები ხალხს სჭირდება. ყველა ერს აქვს თავისი „სარჩული და პირი“, ჰყავს მოლაღატეები და თავდადებულები. თავდადებულთა სახე-სიმბოლოების შექმნისას მითორიტუალური მოდელი ზნეობრიობის, სიყვარულის გრძნობის გასაძლიერებლად „მუშაობს“. არც ისაა შემთხვევითი, რომ ნ. ლორთქიფანიძესთან მსხვერპლშენიერვის რიტუალი ორ ეპოქასა და სარწმუნოებას აერთიანებს. ამით მწერალმა ხაზი გაუსვა, რომ არსებობს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი, რომელიც საოცრად კრავს სოციუმს. მსხვერპლშენიერვის რიტუალმა, უფრო კი მხატვრულ მეტაფორად გარდასახულმა მითორიტუალმა, საუკუნეებს გაუძლო. იგი ზემოქმედებს ადამიანის არაცნობიერსა და ყოფაზე. ყოველი ახალი ლიტერატურული სახე ხელახლა იპყრობს მკითხველის გულს.

**RUSUDAN TSABAVA**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

**Myth, Literary Metaphor and Realistic Concept  
(Niko Lortkipanidze’s “The Steadfast”)**

In the paper I present how the universal myth of self-sacrifice was transformed into a literary metaphor and what function is carried by this metaphor in N. Lortkipanidze’s “The Steadfast”. Self-sacrifice can be said to be among the most popular themes of fiction: for instance, of Euripides’ seventeen tragedies seven are based on the mytho-poetic model of self-sacrifice. The universal myth of self-sacrifice is often related to a particular individual and transforms into a legend. In fiction such stories generate romantic and heroic moods, which are well evidenced by the well-known metaphor of trees and leaves in Akaki Tsereteli’s “Bashi-Achuki” and by the images of real persons turned into legends.

N. Lortkipanidze’s “The Steadfast” implies the combination of romantic-heroic and realistic tendencies, respect for cultural values and re-consideration of outdated traditions. Ivane the Story-Teller recounts two stories that are neither fables nor legends, nor myths, though they contain the elements of all the above-mentioned types of texts. Both describe self-sacrifice: I would call the first “Mother’s Heart” and the second “The Story of a Lad Built in a Fortress”.

The analysis of the text prompts the following conclusion: in the story, the metaphor of sacrifice is interpreted in moral terms: the person inspired with the idea of self-sacrifice has a powerful personality capable of uniting people around a single cause. The sacrificed is the leader who brings the task to the end himself or dies, turning into an even more powerful symbol – the myth. People need such myths and actual names. Every nation has its ‘lining’ and the ‘right

side', has traitors and the devoted. When creating the images of the devoted, the function of mytho-poetic models is to intensify morality and affection. It is no coincidence either that the ritual of sacrifice in N. Lortkipanidze's works unites two epochs and religions. In this way the writer emphasized that there exists something very important that unites the people. The ritual of self-sacrifice, or rather the mytho-poetic ritual transformed into a literary metaphor, has survived centuries. It has an impact on the subconscious and the being of a man. Each new literary image conquers the reader's heart anew.

**Р.А. ДЗЫК**

*Украина, г. Черновцы*

*Черновицкий национальный университет им. Юрия Федьковича*

### **Рецепция «Подростка» Ф.М. Достоевского как романа-исповеди**

Все знают Ф.М. Достоевского не только как писателя, но и как мыслителя. Глубина философского анализа, непревзойденный талант ставить «последние» вопросы часто акцентировали внимание на том, «что» он говорит, в ущерб тому, «как» он это делает. На это указывали еще Л. Гроссман, М. Бахтин, Х. Ортега-и-Гасет и др. Уже вначале XX века жанровая система художника была очерчена как крайне интересное и проблемное поле для исследований. Хотя на сегодня есть только одна работа, которая пытается целостно рассмотреть данный вопрос – «Система жанров Достоевского» В. Захарова.

Особенно сложными для генологического анализа оказались романы русского классика. Заметна тенденция подходить к его романному творчеству с универсальными дефинициями: «полифонический роман», «роман-трагедия», «идеологический роман» и т.д. Они достаточно обоснованы, но нивелируют уникальность каждого текста. С другой стороны, существует множество определений отдельных романов писателя.

Наиболее дискуссионной предстает жанровая идентификация «Подростка». К. Мочульский называл его самым перегруженным романом Достоевского, выделяя в нем классическую схему романа-трагедии с дополнительным авантюрным планом. В. Кирпотин предложил идею редкостного романа-узнавания, в котором растворяются роман-трагедия и роман-узнавание. Большинство же ученых трактуют данный текст как роман воспитания (Е. Семенов, Э. Демченкова и др.). Отталкиваясь от этого, Ю. Карякин выдвинул интересную концепцию романа самовоспитания, самовыделки.

Бесконечное число оговорок, сопровождающее то или другое жанровое определение, подталкивает к их пересмотру. Оправданным представляется рассмотреть «Подростка» как роман-исповедь. Жанр исповеди предусматривает специфические отношения текста с читателем, который оказывается в роли невольного конфидента. Если читатель игнорирует эту жанровую стратегию, то легко прочитывает текст в каком-то другом жанровом ключе, утрачивая при этом повествовательную логику автора.

## **ROMAN DZIK**

*Ukraine, Chernivtsi*

*Yuriy Fedkovich Chernivtsi national university*

### **Reception of Dostoevsky's "The Raw Youth" as a Novel-Confession**

Everyone knows Dostoyevsky not only as a writer, but also as a thinker. The depth of the philosophical analysis, unrivaled talents to put "the past" issues often focused their attention on "what" he says, to the detriment of "how" he does it. This was reinforced by Grossman, Bakhtin, José Ortega y Gasset and others. At the beginning of the twentieth century genre system of a painter was outlined as an extremely interesting and problematic field of the research.

Particularly difficult for a genealogical analysis were novels, written by Russian classic. The trend to approach the novel with universal creativity definitions: "polyphonic novel", "novel-tragedy", "ideological novel", etc. They have been substantiated, but negate the uniqueness of each text. On the other hand, there are many definitions of individual novels of the writer.

Most of the discussion appears genre identification of "The Raw Youth". Many scholars interpret this text as a novel of education (E. Semenov, E. Demchenkova etc.). An infinite number of the reservations that accompanies this or another genre definition, is pushing for their review. Seems justifiable to consider the "The Raw Youth" as a novel-confession. A genre confession provides specific relationship of the text to the reader, who is in the role of the involuntary confidant. If the reader ignores the strategy genre, it is easy to read through the text in some other genre vein, losing the narrative logic of the author.

## ლია წერათელი

*საქართველო, თბილისი*

*მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### მკვიდრი და უცხო, ძალა და მადლი აკაკის „ჩემი თავგადასავლის“ მიხედვით (მენტალობის ორი მოდელი)

თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებაში აქტუალურია მენტალიტეტის კვლევა. იგი გულისხმობს საზოგადოების ჩვევებს, ტრადიციებსა და რწმენას, რომელსაც ზემოქმედების ძალა არასოდეს დაუკარგავს, სოციალურ-ფსიქოლოგიურ განწყობად არის სრულქმნილი და იდეოლოგიის სფეროს განეკუთვნება. მენტალობის მოდელები რეალისტურ მწერლობაში თავს იჩენს მწერლის ხედვასა და ანალიზში, მის მხატვრულ სამყაროში, ფერწერულად სრულქმნილ თხრობაში. აკაკის „ჩემი თავგადასავალი“ ამ კუთხით მრავალფეროვანია, რადგან მწერალი საგანგებოდ ცდილობს ძველი ჩვეულებები, ოჯახის ურყევი ტრადიციები და ხალხური რწმენა-წარმოდგენები ახალი დროის ქრილში გამჭვირვალედ წარმოსახოს და თავადვე გაარჩიოს მათი ავკარგი. თავადაზნაურთა ტრადიციები რუსული მმართველობის პირობებში ძალას კარგავს და სასაცილოდ გამოიყურება, მაგრამ არც გლეხთა ოჯახებშია უკეთესობა, იქაც იმსხვრევა და ფერს იცვლის ძველი და ტრადიციული ზნე-ჩვეულებანი. აკაკის კალამი ცრემლს იწვევს მკითხველში სწორედ ამ რღვევის გამო: როდესაც ტრადიციულ, მკვიდრ, მრავალსაუკუნოვან ადათებს ფეხქვეშ საყრდენი ეცლება, ფუნქციადაკარგული ჩვევა და წესი სასაცილოდ გამოიყურება, ახირებულობად ცხადდება. აკაკი სიღრმისეულად სწვდება და მკითხველისთვის ნათლად წარმოდგება: მკვიდრის ადგილს იკავებს უცხო, იმპერიული პოლიტიკის ძალას წინ რა აღუდგება, მაგრამ მადლი მაინც დაუშრეტელია და ერის მენტალიტეტი მყარი, რალაც მაინც უცვლელია, მაშინაც კი როცა პიროვნული არჩევანი არ არსებობს: თუ ძველის შენარჩუნებას ეცდები, ახირებულად, ძველმოდურად გამოიყურები, ახალს და უცხოს „შეიმოსავ“ და გაუცხოვდები, ფესვებს სწყდები. სხვა გზა არ არის და მარცხი გარდაუვალია — ამ ქრილში წარმართება თხრობა და აკაკისეულ მსუბუქ, ლალ, ფერადოვან სტილს ეს ცრემლი განმსჭვალავს. ორი ძირითადი მენტალობის მოდელი ამგვარად გამოვსახეთ:

1) მამა, როსტომ წერეთელი, აკაკის მიერ ახირებულად, ერთობ უცნაურად იხატება, რასაც თავად ანალიზებს და გამჭვირვალედ ცხადქმნის: დაობლება, დედის შიში და კალთას ამოფარებული ბავშვობა, შეთვისებულ ჩვეულებათა ერთობლიობა, ტრადიციული დიდგვაროვანი ოჯახი, რაინდული სულისკვეთება და სახარებისეული მრწამსი — მკვიდრი, მამისეული ფასეულობანია. სრულიად საპირისპიროა და უცხო იმპერიული პოლიტიკა და კანონმდებლობა: ეგზარ-

ხოსი, ფოსტის მმართველი, სასამართლო და ლენერლის შტაბის ოფიცრები, პოლკოვნიკი... მამის სახე-ხატი აკაკის ამ დაპირისპირებულ-ბაშია ამოზრდილი.

2) გაუცხოვება, უცხო ზნე-ჩვეულებების შეთვისება როსტომ ნერეთლის ერთი გლენის ოჯახში კომიკურად იხატება, მაგრამ იგივე მენტალობის მოდელს გულისხმობს.

3) საჩხერეში უკმაყოფილო გლეხები ნერეთლის სახლს შემოერთებენ. კარგად შეიარაღებულ თავადაზნაურთა ჯარს გლეხები არ ეპუებოდნენ, არც ჯარი თმობდა... ერთმანეთის დახოცვისგან ოქროპირ მღვდელმა იხსნა... მთავრობას შეატყობინეს და ხალხი, რომელიც ჯარს არ ეპუებოდა, ერთ „ზასედატელს“ და ორ ყაზახ რუსს დამორჩილდა..

საკვირველიაო... — ამბობს აკაკი და ამგვარად გამოსახავს ქართული მენტალობის მოდელს: უცხო და მონება, მონური ერთგულება და მკვიდრის მოძულეობა, უარყოფა.

აკაკის თვალსაზრისში მკვიდრობა ძალა და მადლია, უცხო მისი მონიჭება არ ძალუძს, მაგრამ ქართველს მაინც უცხო მონიჭებული ძალა, მადლი და თავისუფლება ეოცნებება.

მენტალიტეტი, უცხო დამპყრობლის პირობებში, იცვლება და ცუდი ზნე-ჩვეულებები მკვიდრდება. აუცილებელია განვასხვავოთ ძირეული და უცხო მთავრის თავესმოხვეული. აკაკი ამის თვალსაზრისით მკვლევარია.

**LIA TSERETELI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

**A Native and Foreigner, Force and Mercy  
(two patterns of mentality)  
According to Akaki's "The Story of My Life"**

Study of the mentality is topical in modern Humanities. It implies society's customs, traditions and belief which never lost the power of influence; they are formed as social-psychological attitude and belong to the sphere of ideology. The patterns of mentality in realistic literature manifest themselves in writer's vision and analysis, his poetic world, in highly artistic narration. From this viewpoint Akaki's *The Story of My Life* (Chemi tavgadasavali) is diverse because the writer tries to show vividly the old customs, strong family traditions and folk beliefs and imaginary through the prism of a new time and differentiate their good and bad sides. The traditions of the nobles in conditions of the Russian rule lose their force and look ridiculously but things were not better in peasants' families; old traditional customs and morals were wiped out and no

longer observed as they once were. Akaki's pen moves the reader into tears just because of the breaking of traditions. When traditional, indigenous, centuries-old customs are wiped out, the functionless tradition and customs look ridiculously, and they are announced to be strange. Akaki penetrates deeply and the reader clearly imagines, how the foreign takes the place of a local, native and nothing can withstand the power of imperialistic politics. But the mercy was still inextinguishable and the nation's mentality was strong; something permanent had entered into the people's very marrow the breaking of which was deemed a sin even if there was no personal choice. If you make an attempt to keep tradition you might look odd and old-fashioned; you can "take up" new and foreign but become estranged, lose roots. There is no other way and the failure is inevitable. The narration goes this way and this tear runs through the light, free, poetic style so typical for Akaki.

Thus, we have described the pattern of two basic mentalities: 1) Father, Rostom Tsereteli, is pictured by Akaki as an obstinate and strange man. Through insightful analysis Akaki shows: orphan child, mother's fear and protected childhood, unity of assimilated customs, traditional noble family, chivalrous spirit, and the Credo are native, paternal values. The imperial policy and legislation are totally opposed to this values: Ekzarkhos - the manager of the post office, court and general headquarters officers, colonel... the image of father was germinated in this contradiction; 2) Comic picture of the estrangement, gaining new customs and traditions in one peasant family belonging to Rostom Tsereteli but the pattern of the same mentality is meant; 3) The dissatisfied peasants in Sachkhere laid siege to the Tseretelis house. The peasants did not obey the well-armed feudal army, neither the army gave way... The priest Okropir rescued them from killing each other... The authorities got informed and people who did not obey the army submit to one "zasedatel"(Russian official) and two Kazakh Russians....It's amazing, says Akaki and expresses the pattern of Georgian mentality as subordination to a foreigner, slavish devotion and, on the other hand, dislike and hate for the native. In Akaki's view, force and mercy comes from the native, whereas the foreigner is unable to give all this but the Georgian dreams about force, mercy and freedom offered by the foreigner.

## ლელა ხაჩიძე

*საქართველო, თბილისი*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი*

### აკაკი წერეთლის შემოქმედების ზოგიერთი ტენდენციის შესახებ

აკაკი წერეთლის შემოქმედების მიმართება ძველ ქართულ მწერლობასთან დღეისათვის მხოლოდ ნაწილობრივია შესწავლილი. ეს მიმართება მრავალმხრივია და მოიცავს როგორც ლიტერატურათმცოდნეობით, ისე საღვთისმეტყველო, ფილოსოფიურ, ისტორიულ პრობლემატიკას.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს აკაკი წერეთლის ლირიკის მიმართება ძველ ქართულ სასულიერო პოეზიასთან. გარდა ზოგადი ტენდენციების თანხვედრისა, აკაკის შემოქმედებაში გამოიყოფა მთელი ციკლი ლექსებისა, რომლებიც უშუალოდ ჰიმნოგრაფიულ ტრადიციას „აგორძელებს“. მათი კვლევა შეუძლებელია ძველი ქართული საგალობლების გათვალისწინების გარეშე.

ამ ციკლის ლექსებში შთამბეჭდავადაა წარმოდგენილი ღვთისმშობლის სახე. ღვთისმშობლის ტანჯვასთან ზიარებას აკაკი სულიერი ამბლები ძალად აღიქვამს; ამავე დროს, ქმნის „გიხაროდენის“ განწყობის შემცველ პოეტურ შედეგებს.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს აკაკი წერეთლის შემოქმედების შესწავლა ისტორიული სიზუსტის თვალსაზრისით. საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ პერიოდის ასახვისას აკაკი იშვიათ ცოდნას ამჟღავნებს უშუალოდ ისტორიის სფეროდან. ამ მხრივ საინტერესოა „თორნიკე ერისთავის“ ერთ-ერთი პერსონაჟის — ჯოჯიკის იდენტიფიკაცია.

ჯოჯიკი, ერისთავთა-ერისთავის ტიტულით, მოიხსენიება ათონის მთაზე გადანერილ ქართულ ხელნაწერში № 85. ხელნაწერი შექმნილია უშუალოდ თორნიკე ერისთავის გარშემო მყოფ ქართველთა წრეში. მასში დაცულ ანდერძებში ჯოჯიკ ერისთავთა-ერისთავი განსაკუთრებული პატივითა და სიყვარულით მოიხსენიება. ქართული ისტორიოგრაფიისათვის თითქმის უცნობი ეს პიროვნება „თორნიკე ერისთავში“ რამდენჯერმე მოიხსენიება მნიშვნელოვანი ფუნქციით. საინტერესოა ის გარემოება, რომ ეს პიროვნება არ იხსენიება

თვით გიორგი მთაწმიდელის „იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში“, რომელსაც აკაკი წერეთელი ზედმინევენით იცნობს.

**LELA KHACHIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

### **Towards Several Tendencies in Akaki Tsereteli's Legacy**

Attitude on Akaki Tsereteli's legacy in the old Georgian literature is only separately investigated. This is complex problem and compiles philological, theological, philosophical and historical issues.

Attitude on Akaki Tsereteli's poetry to the old Georgian Hymnography deserves special attention. From time to time it became evident that Akaki Tsereteli had created the whole cycle of lyrical poems like hymnographical tradition.

In these poems Snt. Virgin's image is impressive indeed. According to Akaki Tsereteli Snt. Mary's aches is considered to be an impulse of spiritual ascension.

With a historical point of view Akaki Tsereteli's legacy deserves special interest. The historical reality is precisely described in the historical poems by Akaki Tsereteli. Historical person – Jojik Eristavi deserves a special interest in this field.

Jojik Eristavi is mentioned only in one old Georgian manuscript (#85) preserved on Mount Athos.

According to the colophons the manuscript was created at the end of the X or in the beginning of the XI century by the persons, who were in touch with **Tornike Eristavi** - the famous Georgian Commander - in-Chief, who had successfully fought for the defense of Byzantine Royal Court and gained the full Victory.

In these colophons **JoJik Eristavi** is mentioned with a honour. This person is almost unfamiliar to Georgian History.

According to these colophons **JoJik Eristavi** was one of the authorities at the same age.

It is remarkable that **JoJik Eristavi** represents one of the personages of the poem "Tornike Eristavi" created by Akaki Tsereteli in the XIX century.



## მანია ჯალიაშვილი

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### ლექსის მოდელირება კულტურის კოდებით აკაკი წერეთლის „აღმართ-აღმართი“

აკაკი წერეთელი ლექსების სტრუქტურის მოდელირებისას იყენებდა კულტურის კოდებს (რელიგიური, ფილოსოფიური, ლიტერატურული და სხვ.), რომელთა დეკოდირებაც საშუალებას გვაძლევს სიღრმისეულად გავიაზროთ ამა თუ იმ ლექსის სათქმელი. ამჯერად ამ პრინციპით წარმოჩენილია აკაკი ლექსი „აღმართ-აღმართი“.

წერილში საღვთისმეტყველო სიბრტყეზე გაანალიზებულია „აღმართ-აღმართის“ მხატვრული სისტემის თავისებურებანი. ავტორის აზრით, პოეტი ამ ლექსით მომავლისკენ კი არა, უფრო წარსულისკენ იყურება, თუმცა, როგორც ალბერ კამიუ იტყოდა, წარსული იმედის მეორე ფორმაა.

წერილში წარმოჩენილია ლექსში გამოყენებული სხვადასხვა კოდის მნიშვნელობანი. ლექსის დასაწყისში ნახსენებ აღმართს ბოლოს დაღმართი შეენაცვლება. ზოგადად, სიმბოლურად შეიძლება ლექსი ცხოვრების ერთგვარ მოდელადაც გავიაზროთ, რადგან ცხოვრება აღმართ-დაღმართების მონაცვლეობაა,

პოეტი პირველივე სტრიქონებიდან მიგვანიშნებს აღმართ-აღმართ სიარულის სიძნელეს. აღმართ-აღმართ სვლა სულიერი სრულყოფილების გზას გულისხმობს. პოეტი ნელა, მაგრამ ჯიუტად მიუყვება აღმართს, სიმბოლურად, ღვთისკენ მიემართება. მთაზე, სიმაღლეზე ასვლა ხომ პარადიგმულად სწორედ ამას გულისხმობს. წერილში პარალელია გავლებული დავითის ფსალმუნებთან და წარმოჩენილია, როგორ გააღრმავა პოეტმა ლექსის სააზროვნო სივრცე ფსალმუნზე მინიშნებით. სერზე შედგომა, ამოსუნთქვა მიანიშნებს სულიერი ზრდის გარკვეულ საფეხურზე. შორს რჩება მინა, ყოფითობა, რომელთანაც დაკავშირებულია ათასგვარი სურვილი, ხორციელი ტანჯვა. სული იშვება.

ანალიზის დროს პარალელი გავლებულია ბერძნულ მითოლოგიასთანაც, კერძოდ, სიზიფეს მითთან. ლექსის ლირიკული გმირი სიზიფესაც ემსგავსება, ლოდს რომ აიტანს მწვერვალზე და წამით შეისვენებს, ჭმუნვას გაიქარვებს, რადგან იცის, ის ლოდი მალე ისევ ქვემოთ დაუგორდება და თავიდან დაიწყება მისი ტანჯვა-წამება, მაგრამ გრძელი, დამძლეული გზა ღირს იმ შევების შესაგრძნობად, რასაც მწვერვალზე ასული განიცდის. ჭმუნვის ალის განელება, აკაკის ლექსის მიხედვით, ხორციელი ყოფის დაძლევა გამოიწვია. პოეტის მზერა მინას მოსწყდა და ზეცისკენ მიიმართა. სიმაღლეზე, ღვთის სიახლოვეს, რა თქმა უნდა, მზის სხივების, მისი მაღლის შეგრძნება უფრო ძლიერია. პოეტი განიცდის სიხარულს, ახალ სიცოცხლეს, რომელიც

ღმერთშია. პოეტს სიკვდილის აღარ ეშინია, რადგან სიკვდილი სხეულთან არის დაკავშირებული. სული კი არ კვდება, ის მარადიულობასთან არის წილნაყარი, რადგან ღვთის ნაწილია. ამ დროს უცნაურ თრთოლას განიცდის პოეტი მთელი არსებით. უცნაური ცეცხლი გიზგიზდება ამ დროს პოეტის გულში, ცეცხლი არა დამწველი, არამედ განმნმენდი და ამამაღლებელი.

ანალიზის დროს პარალელია გავლებული „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასთანაც“, რათა წარმოჩნდეს ლექსში მოხმობილი ალუზიების მხატვრული ფუნქცია. ავტორი აანალიზებს, თუ რამ გამოიწვია ლირიკული გმირის სულიერი განვითარების „მწვერვალიდან“ კვლავ „მინაზე“ დაცემა, როგორ იყო გადაჯაჭვული ერთმანეთთან სულიერი და მიწიერი ცხოვრების გზები.

**MAIA JALIAHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Verse Modeling by the Cultural Codes Akaki Tsereteli's "Rise-Rise"**

Akaki Tsereteli was using codes of the culture (religious, philosophical, literary, etc.) for modeling the structure of poetry. Decoding those symbols allows us to understand depth of this or that verse. This article shows this principle according to Akaki Tsereteli's verse "Rise - Rise". The artistic characteristics of "Rise - Rise" system is analyzed with the theological plane in the article. In our opinion, a poet in this verse looks at the past more than the future, however, as Albert Camus would say, hope is the second form of the past.

The article shows the value of different codes, which is used in this verse. The rise, mentioned in the beginning of the verse, was changing to slope.

In general, we can understand this verse as a kind of symbolic model of life, because the life is changing rise to slope. From the very first lines the poet points out difficulties of rise - rise walking. Rise - Rise walking is interpreted as the going to spiritual perfection. Poet slowly but stubbornly goes on the rise, symbolically, goes to God. The going on the mountain symbolically means coming nearer to divine.

In the letter parallel is drawn with David's psalm (the Bible) and is represented, how poet gave a depth to his poetry in this way. Poet writes in verse, that he stopped at the rise and rested. Poet left the land, ordinary life, suffering, unpleasantnesses, desires, and approached the divine.

The letter describes parallels to Greek mythology as well, especially with Myth of Sisyphus. Lyric hero of poetry is like mythological character Sisyphus. As is known, Sisyphus took the boulder on the peak, but it slide (roll) downhill.

Sisyphus knew in advance that the boulder will slide (roll) downhill. This was his punishment, but still went ahead. On the peak he felt momentary joy, happiness, and then started suffering and torture. According to Akaki's poetry, the sun is a symbol of God. Therefore the poet watches him with great admiration. Poet is added to the spiritual power of grace. He is no longer afraid of death, as if the poet was born to, given a great faith, grace, hope and the power of love. Everything around is beautiful, because poet's watching to everything with spiritual eyes and he loves each animate or inanimate object. The poet feels eternity and he is glad that he is alive and is able to breath, to feel and be delighted by the beauty of the world.

At this time, a fire lightes in the heart of the poet, but this fire is not dangerous, on the contrary, this fire lightes his soul. In that way, the poet achieves the peak of beatitude. In this letter a parallel is also drawn with "Life of Grigol Khandzteli".

Poet uses folk-lore symbols as well to express his feelings artistically. In this poetry philosophical, religious and patriotic questions are knit together.

## თამაზ ჯოლოგუა

*საქართველო, თბილისი*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი*

### მიხეილ ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის“ შესახებ

ბრიტანეთში განსწავლულ და ბრიტანულ პოლიტიკურ და დიპლომატიურ გამოცდილებაზე აღზრდილ მიხეილ ვორონცოვს (1782-1856) მტკიცედ სწამდა, რომ კულტურული მრავალფეროვნება წყარო იყო იმპერიის ძლიერებისა და არა — მისი სისუსტის მაჩვენებელი. იგი კავკასიაში ჩამოვიდა რეფორმისტული გეგმით, რომელიც, ერთი მხრივ, ითვალისწინებდა საქართველოს (ზოგადად, კავკასიის) პოლიტიკურ-ეკონომიკურ ასიმილირებას რუსეთის იმპერიაში, ხოლო მეორე მხრივ, ევროპეიზაციის გზით ქართული კულტურის აღორძინებასა და განვითარებას.

ვორონცოვის ინიციატივითა თუ განმსაზღვრელი მნიშვნელობის მხარდაჭერით თბილისში დაარსდა საჯარო ბიბლიოთეკა, პროფესიული ქართული თეატრი, ჟურნალი „ცისკარი“, კავკასიის მუზეუმი,

„გეოგრაფიული საზოგადოება“ (თავისი პერიოდული გამოცემით) და ა. შ. ვორონცოვი ხაზგასმით გამოხატავდა პატივისცემას ქართული ენის, ქართველი ხალხის ისტორიის, კულტურის, ადათ-წესებისა და ზნე-ჩვეულებების მიმართ, ყოველმხრივ უწყობდა ხელს ქართული სიძველეების შესწავლასა და დაცვა-რესტავრაციას. ვორონცოვი მიიჩნევდა, რომ ქართველი ხალხის ენობრივი და კულტურული თვითმყოფადობა უნდა ქცეულიყო საქართველოს, როგორც ავტონომიური უფლებებით აღჭურვილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის, ჩამოყალიბების საფუძვლად („[ვორონცოვი] ამზადებდა ნიდაგს საქართველოს ავტონომიისათვის რუსეთის იმპერიის ფარგლებში“ — ს. კაკაბაძე).

დამოკიდებულება ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკისადმი“ რუსეთში არ იყო ერთგვაროვანი. მაგალითად, გავლენიანი ფიგურა რუსეთის პოლიტიკურ წრეებში მ. კატკოვი ვორონცოვს მიიჩნევდა არარუსული თვითშეგნების პიროვნებად და კავკასიაში გატარებული კურსის გამო პირდაპირ სდებდა ბრალს სახელმწიფოებრივი ინტერესების ღალატში. ქართველ მწერალთა და მკვლევართა შეფასება ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკისა“ ან უაღრესად პოზიტიურია (დ. ყიფიანი, ნ. ნიკოლაძე, ა. ფურცელაძე, ა. ჯორჯაძე, შ. ამირეჯიბი და სხვ.), ან — უკიდურესად ნეგატიური (ალ. ორბელიანი, ნ. ავალიშვილი, ვახტ. კოტეტიშვილი, რ. ჩხეიძე, ნ. ვახანია და სხვ.).

ვორონცოვი თვალსაჩინო ფიგურაა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში (ლირიკა, მემუარები, დრამატული პოემა „ვორონცოვი“). აკაკიმ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა გულწრფელი პატივისცემა ვორონცოვის მიმართ.

ჩვენი აზრით, XIX საუკუნის საქართველოს ისტორიაში ვორონცოვის როლისა და ადგილის შეფასება ვერ იქნება ვერც ცალმხრივად პოზიტიური და ვერც — ცალმხრივად ნეგატიური. საკითხის გარშემო დღემდე არსებული შეხედულებებიდან კი ყველაზე სწორი და საფუძვლიანი ჩანს ვორონცოვის პოლიტიკის ა. წერეთლისეული შეფასება — ვორონცოვი მომავლის საქართველოს განიხილავდა როგორც „პოლიტიკურად გარუსებულს, მაგრამ თავის სარწმუნოებით, ენით და ეროვნულ ელფერით“.

## TAMAZ JOLOGUA

*Georgia, Tbilisi*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

### **On the “Caucasian Policy” of Mikhail Vorontsov**

Mikhail Vorontsov (1782-1856), educated in Britain on British political and diplomatic experience, believed firmly that cultural diversity was the source of the strength of the empire, and not an indicator of its weakness. He arrived in the Caucasus with a reformist plan, which on the one hand, envisaged political and economic merging of Georgia (the Caucasus, in general) with the Russian Empire, and, on the other one, revival and development of Georgian culture by means of Europeanization.

On Vorontsov’s initiative and significant support, the public library, the Georgian theatre, journal *Tsiskarii*, the Caucasian Museum, the “Geographical Society” (with its periodical), etc. were founded in Tbilisi. Vorontsov markedly showed respect for the Georgian language, history of the Georgian people, their culture, customs, morals and manners, and facilitated in every way possible (sometimes at his own expense) the study protection and restoration of Georgian antiquities. Vorontsov regarded that the linguistic and cultural originality of the Georgian people should have become the foundation for the formation of Georgia as a political-administrative unit enjoying autonomic rights (“[Vorontsov] was paving the way for the autonomy of Georgia within the Russian Empire” – S.Kakabadze).

The attitude towards Vorontsov’s “Caucasian policy” was not uniform in Russia. E.g. M.Katkov, an influential figure in Russian political circles, regarded Vorontsov as a person of non-Russian self-consciousness and due to the political course carried out in the Caucasus directly accused him of betraying the state’s interests. The evaluation of Georgian writers and researchers of Vorontsov’s “Caucasian policy” is either extremely positive (D.Qipiani, N.Nikoladze, A.Purtseladze, A.Jorjadze, Sh.Amirejibi, and others), or exceedingly negative (A.Orbeliani, N.Avalishvili, V.Kotetishvili, R.Chkheidze, N.Vakhania, and others).

Vorontsov is a prominent figure in the work by Akaki Tsereteli (lyric poetry, memoirs, dramatic poem *Vorontsov*). A.Tsereteli retained until the end of his days sincere respect for Vorontsov.

In my view, the evaluation of Vorontsov’s role and place in the history of Georgia of the 19<sup>th</sup> century cannot be either unequivocally positive or negative. Of the viewpoints existing to date around the question, A.Tsereteli’s evaluation of Vorontsov’s policy seems to be the most correct and well-grounded – Vorontsov viewed future Georgia “as politically russified, but retaining its religion, language and national air”.